სამხრეთ კავკასიის ახალი გადანაწილება - რუსეთის თანამედროვე დილემა

ქეთევან ჯოჯიშვილი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი

DOI: https://doi.org/10.52340/gbsab.2023.01.03.06

ანოტაცია

რუსეთი, რომლის საგარეო პოლიტიკის გააგრესიულებასთან ერთად, პუტინისა და რუსეთის სხვა ლიდერების რიტორიკაში თავს იჩენს რუსული ნაციონალური ნარატივის ტრადიციული აქცენტები, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მასზე დაქვემდებარებული სახელმწიფოების პოლიტიკური დღის წესრიგს. ოფიციალური მოსკოვი მათ, ფაქტობრივად, საკუთარი „სისტემის ორბიტაში აქცევს" გავლენის „ლიდერობიდან დომინირებამდე" განვრცობის მიზნით. ისტორიულად, რუსეთის იმპერია ყოველგვარი საშუალებით ცდილობდა სამხრეთ კავკასიის რეგიონი თავისი გავლენის ქვეშ მოექცია, ვინაიდან აღნიშნულ რეგიონს, თავისი უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, რუსეთის იმპერიისთვის მზარდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამდენად, სამხრეთ კავკასიის ფაქტორი რუსეთის საიმპერატორო კარისთვის განსაკუთრებულ დატვირთვას ატარებდა და მასზე კონტროლის შენარჩუნება მის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენდა.

საკვანძო სიტყვები: რუსეთი, სამხრეთ კავკასია, პოლიტიკა

New redistribution of the South Caucasus - Russia's modern dilemma

Ketevan Jojishvili
Caucasus International University,
Doctor of Political Science

Annotation

Russia's traditional accents of national narrative, which has become more aggressive lately, appear in the rhetoric of Putin and other Russian leaders and significantly determines the political agenda of the states subordinate to it. Official Moscow is effectively bringing them into its own "system orbit" in order to extend its influence "from leadership to dominance". Historically, Russian empire tried by all means to bring the region of the South Caucasus under his influence, since the mentioned region, due to its unique geographical location, was of increasing importance to it. Thus, the South Caucasus factor carried a special burden for the Russian Imperial Court, and maintaining control over it was one of its top priorities.

Key words: Russia, South Caucasus, politics

შესავალი

კავკასია აღიქმება როგორც ერთ–ერთი გამოწვევა და ცხელი წერტილი რუსეთის ფედერაციისთვის, მისი რთული ხასიათით, გეოგრაფიული მდებარეობითა და ტერიტორიული დავებით. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მთელი კავკასია (ჩრდილოეთი და სამხრეთი) შეგვიძლია ვთქვათ რომ, იმყოფება არასტაბილურ და ქაოტურ ვითარებაში. იგი წარმოადგენს დინამიურ და ფეთქებადსაშიშ რეგიონს, თავისი ხანგრძლივი კონფლიქტებითა და საომარი მოქმედებებით. ცივი ომის

დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე რუსეთის ფედერაციას დაუყოვნებლივ შეექმნა ისეთი პრობლემები, როგორიცაა რელიგიური რენესანსი და ფუნდამენტალიზმი, ნაციონალიზმი, ტერიტორიული მთლიანობა და დავა მეზობლებს შორის. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აქტიურ ფაზაში შევიდა რელიგიური რენესანსი და ფუნდამენტალიზმი, რასაც მოჰყვა რუსეთ-ჩეჩნეთის ომები და დაღესტნის ცნობილი მოვლენები, რამაც სერიოზული საშინაო და საგარეო პრობლემები გამოიწვია რუსეთის პოლიტიკურ ავანსცენაზე და ეს უკანასკნელი მთელ კავკასიის რეგიონთან ერთად, რელიგიური ფუნდამენტალიზმის რეალური საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა. აღნიშნულმა მოვლენებმა რუსეთს შიდა პრობლემები შეუქმნა, რადგან ეს ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკები იყვნენ და დღესაც არიან რუსეთის ფედერაციის შემადგენელი ნაწილები, ხოლო რაც შეეხება საგარეო ურთიერთობებს, რუსეთ-ჩეჩნეთის ომის გამო ევროპულმა სახელმწიფოებმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაგმეს რუსეთის მიზანმიმართული ქმედებები ჩეჩნეთში, რამაც რუსეთის ჯერ არ დალაგებული საგარეო ურთიერთობების გაფუჭება განაპირობა. პარალელურად, სამხრეთ კავკასიის ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები ხდება საბჭოთა კავშირის დაშლის თანამდევი, რომელიც რეგიონულ უსაფრთხოების პრობლემას წარმოადგენს. საბჭოთა იმპერიის სამართალმემკვიდრემ, რუსეთმა განაგრძო შეიარაღებული კონფლიქტების ინსპირირება აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიებზე, ხოლო, თავის მხრივ, ჩართული იყო მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის. ამასთან, რუსეთი ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რათა მოეხდინა სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების მშვიდობიან დარეგულირებასთან დაკავშირებული სამშვიდობო პროცესის მონოპოლიზება და არ დაეშვა საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური ჩარევა მშვიდობის, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ახალი არქიტექტურის ფორმირებაში.

რუსეთის ფაქტორი სამხრეთ კავკასიის რეგიონში

რუსეთისთვის, სივრცეში, რომელიც ოდესღაც საბჭოთა კავშირს შეადგენდა, დომინირება აუცილებელი პირობაა მრავალპოლუსიან სამყაროში დამოუკიდებელ გეოპოლიტიკურ ცენტრად პოზიციონირებისათვის. მისი საგარეო პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში ევოლუციას განიცდის და ხშირად პრობლემას წარმოადგენს ახალ რეალობასთან მისადაგება. [2, გვ.9] თუ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამხრეთ კავკასია რუსეთ-დასავლეთის დაპირისპირების კონტექსტში განიხილებოდა, დღეს ვითარება ბევრად უფრო კომპლექსურია. რეგიონში ერთდროულად რამდენიმე ძალა არსებობს მულტიპოლარული ფორმატის ფარგლებში. აშშ, თურქეთი, ირანი, ჩინეთი, ევროკავშირი და რუსეთი - ეს ძალები განსხვავდებიან სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალით, მაგრამ 1990-იან წლებთან შედარებით შესამჩნევია განვითარების დინამიკა, რაც თითოეული მოთამაშის რეგიონის პროცესებში აქტიური ჩართვით გამოიხატება. შემთხვევითი არ არის, რომ სამხრეთ კავკასია უფრო „გლობალური“ გახდა, იქნება ეს ეკონომიკური კავშირები თუ ინფრასტრუქტურული პროექტები. ამასთან, აღნიშნულ პროცესში გარკვეული წვლილი შეიტანეს აზერბაიჯანმა, საქართველომ და სომხეთმა, რომლებიც გამოირჩეოდნენ სამხედრო თანამშრომლობით სხვადასხვა გლობალურ მოთამაშესთან.[12, გვ.16]

აღნიშნული პროცესი მსოფლიოში მიმდინარე გეოპოლიტიკური ძვრების გამოძახილია. ცივი ომის შემდეგ ბიპოლარულმა მსოფლიომ დაიწყო გადასვლა მრავალპოლარულ მსოფლიო წყობაზე, სადაც ორი ძირითადი პოლიტიკური აქტორის ნაცვლად მსოფლიო პოლიტიკას განსაზღვრავს რამდენიმე თანაბარი ძალის მქონე პოლიტიკური მოთამაშე. აღსანიშნავია, რომ ოცდამეერთე საუკუნე აშშ-ის და ჩინეთის დაპირისპირების ხანა იქნება და მათ გარშემო ბევრი სხვა ქვეყანა შეიკვრება, ევრაზიაში ასევე იარსებებს სხვა რამდენიმე გეოპოლიტიკური ცენტრი. ინდოეთი, თურქეთი, ირანი და რუსეთი შეეცდებიან თავის გარშემო გავლენის სფეროების აგებას. იქ, სადაც ეს გავლენის სფეროები გადაიკვეთება (მაგალითად, სამხრეთ კავკასიაში), ორი ან მეტი რეგიონული ძალა ახალი წესრიგის აგებას შეეცდებიან, რომელიც რეგიონალიზმის

(არარეგიონული ძალების, ანუ დასავლეთის განდევნა) პრინციპზე იქნება დაფუძნებული. [6, გვ.11]

მაშასადამე, კავკასია წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე რთულ და ფეთქებადსაშიშ რეგიონს რუსეთის ფედერაციისთვის. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში დაიწყო მრავალი სახის კონფლიქტი ეთნო-რელიგიური - ჩეჩნეთის რესპუბლიკის კონფლიქტის შემთხვევაში, ხოლო ეთნო-ტერიტორიული კონფლიქტები აზერბაიჯანელებისა და სომხებისა და ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტების შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული სიტუაცია ასე თუ ისე სტაბილურია, თუმცა სამხრეთ კავკასიაში კვლავ იგრძნობა მტრული და დაძაბული ატმოსფერო და სახეზე გვაქვს მთიანი ყარაბაღის მოუგვარებელი კონფლიქტი. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყარაბაღის კონფლიქტი არა მხოლოდ მთელი რეგიონის უსაფრთხოებას ემუქრება, არამედ თვით რუსეთის ფედერაციის პანდორის ყუთად იქცა, რადგან მას ორივე რესპუბლიკასთან სტრატეგიული პარტნიორობა აკავშირებს. ამასთან, ბოლო დროინდელ მოვლენებიდან აშკარად იკვეთება სომხეთის ანტირუსული რიტორიკა და აზერბაიჯანის დაახლოვება თურქეთთან. [1, გვ.24]

ბორის ელცინის მმართველობის პირველივე წლებში ფართო საზოგადოებამ გააცნობიერა მოსკოვის ზრახვები იმის შესახებ, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეს ძველებურად თავისი გავლენის სფეროდ თვლიდა და არც სამხრეთ კავკასია გახლდათ გამონაკლისი. ამასთან, სამიზნე რეგიონში პოლიტიკური კლიმატი ფუნდამენტურად იცვლება. საბჭოთა კავშირის კოლაფსის შემდეგ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან მიმართებაში სხვა დიდი მოთამაშეების ინტერესები იკვეთება, რომლებიც „კავკასიაში გავლენების მოსაპოვებლად სამხედრო, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძალისხმევას არ იშურებენ. [10, გვ.32]

სომხეთის წინა მთავრობამ, სერჟ სარქისიანის მეთაურობით, ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ შეენარჩუნებინა ქვეყნის ”ნაწილობრივ თავისუფალი” დანიშნულება, ხოლო, თავის მხრივ, მიზანმიმართულად ცდილობდა

ურთიერთქმედების ფრთხილად დაკალიბრებული კურსის გატარებას როგორც რუსეთთან, ასევე დასავლეთთან. ამასთან, იგი ხშირ შემთხვევაში იყენებდა დიპლომატიას, რაც გამოიხატებოდა აზერბაიჯანთან შეიარაღებულ შეტაკების თავიდან არიდებაში, თუმცა რამდენიმე ინციდენტი მაინც მოხდა. თუმცა ხავერდოვანი რევოლუციისა და ნიკოლ ფაშინიანის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ქვეყნის კურსის მკვეთრი ცვლილება და ანტირუსული ტალღის აგორება ხდება.

რაც შეეხება აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტს, იგი ორიენტირებულია მეზობელთან სტრატეგიული და ურთიერთსასარგებლო ურთიერთობების განვითარებაზე და ცდილობს ევროპულ და ტრანსატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციას. ამას გარდა, აზერბაიჯანი ამჟამად ატარებს დელიკატურად დაბალანსებულ პოლიტიკას რუსეთსა და თურქეთს შორის. რაც შეეხება დასავლეთთან ურთიერთობას, ბოლო მოვლენებმა ცხადყო, რომ ქვეყანას ურთიერთობა დაეძაბა ევროპის რამდენიმე ქვეყანასთან და ის თავის ეგრედ წოდებულ მოძმე ქვეყანას - თურქეთს დაუახლოვდა, რომელიც არის ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრი და ღიად ერევა მის შიდა საქმეებში. [8, გვ.1]

1991 წლიდან სამხრეთ კავკასიის სუვერენული ქვეყნების სათავეში ეროვნულ-პატრიოტული მოძრაობის ლიდერები მოდიან ზვიად გამსახურდიას, ტერ-პეტროსიანისა და აბულფაზ ელჩიბეის მეთაურობით. რეგიონზე კონტროლის შენარჩუნებისა და თავისი გეოპოლიტიკური ამბიციების განხორციელების მიზნით, რუსეთის ხელისუფლებამ არაერთხელ განიზრახა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის დემოკრატი ხელისუფლების დამხობა. აღნიშნული პროცესების პარალელურად რეგიონის სამივე ქვეყანაში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, მათ შორის, ორი — აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტი, საქართველოს, ხოლო „მთიანი ყარაბაღის“ კონფლიქტი კი, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. [4, გვ.2]

მეცნიერთა დიდი ნაწილი ერთმნიშვნელოვნად თანხმდება, რომ რუსეთის ფედერაცია დიდ როლს თამაშობდა აღნიშნული პროცესების მიმდინარეობაში,

რომელიც შეთქმულებისა და პროვოკაციების გზით ცდილობდა რეგიონში ქაოსის, დესტრუქციისა და არასტაბილურობის პროვოცირებას.100 [7, გვ.43]

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები თავიდანვე მხარდაჭერას უცხადებდა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, ბილ კლინტონის ადმინისტრაცია საკმაოდ ფრთხილი პოლიტიკით გამოირჩეოდა რეგიონის კონფლიქტების ჭრილში. აშშ მაქსიმალურად ცდილობდა ნეიტრალურ პოზიციაში ყოფნას, რაც ნაკლებად ჩარევას ნიშნავდა აფხაზეთში, ცხინვალსა და „მთიან ყარაბაღში“ მიმდინარე მოვლენებში. სავარაუდოა, რომ აშშ-ის პოზიციაზე დიდწილად გავლენას ახდენდა რუსეთის ფაქტორი, რადგან მიუხედავად საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობისა, 1990-იანი წლების პირველი ნახევარში, აშშ სამხრეთ კავკასიას რუსეთის გავლენის სფეროდ განიხილავდა და მაქსიმალურად თავს არიდებდა მასთან კონფრონტაციას. [11, გვ.15]

1992-1993 წლებში, სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნის (უპირველეს ყოვლისა, საქართველოსა და აზერბაიჯანის, ვინაიდან სომხეთის ხელისუფლება თავიდანვე მკვეთრი პრორუსული დამოკიდებულებით გამოირჩეოდა) ლიდერები ცდილობდნენ პროდასავლური პოლიტიკური კურსის გატარებას, მაგრამ განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენდნენ რუსეთთან მიმართებით, რათა მოსკოვის გაღიზიანება არ გამოეწვიათ. 2003 წლის საქართველოში მომხდარმა „ვარდების რევოლუციამ“ ფუნდამენტურად შეცვალა საგარეო პოლიტიკური მიმართულება არა მარტო სამხრეთ კავკასიაში, არამედ მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში.[9, გვ.33]

ეს იყო საქართველოს პირველი, მკვეთრად გამოხატული მცდელობა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის კუთხით, რომელიც, რასაკვირველია, წინააღმდეგობაში მოდიოდა რუსეთის საგარეო პოლიტიკურ კურსთან აღნიშნულ რეგიონში. ამის ნათელი ილუსტრაცია გახლდათ 2008 წლის რუსეთ და საქართველოს აგვისტოს ომი. [3, გვ.11] ზემოხსენებულმა ომმა მეზობელი ქვეყნების ურთიერთობები ჩიხში შეიყვანა. რუსეთმა საერთაშორისო საზოგადოებასა

და, უპირველეს ყოვლისა, აშშ-ს დაანახა, რომ იგი არ აპირებს საკუთარი „გავლენის სფეროების“ დათმობას და, მით უფრო, დასავლეთს იქ „არაფერი ესაქმება“. სამხედრო ექსპერტ ვ. მაისაიას მოსაზრების მიხედვით, რუსეთის მთავარ ამოცანას საქართველოსა და უკრაინაში გავლენების მოპოვება წარმოადგენდა.[101] რუსეთის საომარმა ქმედებებმა საქართველოში ძლიერ აღაშფოთა ცივილიზებული საზოგადოება. მათ დაინახეს, რომ რუსეთი, XX საუკუნეშიც ანგარიშგასაწევი ძალაა, რომელიც, არც საერთაშორისო სამართლის ნორმების უგულებელყოფას ერიდება და არც მშვიდობიანი მოსახლეობის დარბევას, თავისი ინტერესების განსახორციელებლად. [5, გვ.21]

გამომდინარე იქიდან, რომ სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე კონფლიქტებში რუსეთი და თურქეთი იყვნენ ჩართულნი, აშშ აღნიშნულ რეგიონში თავისი პოზიციების გამყარებას დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა. სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის „ყარაბაღის კონფლიქტის“ ხელოვნური „დაკონსერვებითა“ და მუდმივი სპეკულაციებით რუსეთი თითქმის 30 წლის განმავლობაში გავლენას ახდენდა თურქეთის მოკავშირე — აზერბაიჯანის რესპუბლიკაზე. სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მორიგი დაპირისპირება ისევ რუსეთის სასარგებლოდ დასრულდა, ხოლო ყარაბაღის მესამე ომი მსოფლიოს ისტორიაში შევა, როგორც წარმატებით დამთავრებული ყველაზე სწრაფი ომი, სადაც აზერბაიჯანი 29 წლის შემდეგ ომით წაგებულს ომში გამარჯვებით იბრუნებს.

დასკვნა

1990-იანი წლებიდან მოყოლებული, რუსეთი სამხრეთ კავკასიაში თავისი გავლენის შენარჩუნებას ფართო ევრაზიულ ჭრილში განიხილავს – დარჩეს მთავარი ძალა იმ გეოგრაფიულ სივრცეში, რომელიც ერთ დროს საბჭოთა კავშირს წარმოადგენდა. კოლექტიურ დასავლეთთან მეტოქეობა, დიდი ძალის სტატუსის შენარჩუნების/აღდგენის სურვილი და, რაც მთავარია, მრავალპოლუსიანი მსოფლიო

წესრიგისკენ სწრაფვა, ეს არის ის საგარეო პოლიტიკური ელემენტები, რომელიც სამხრეთ კავკასიაში რუსეთის სტრატეგიულ ამბიციებს აყალიბებს.

ნაშრომში გაანალიზებულია ისეთი დინამიური და რთული რეგიონის მნიშვნელობა, როგორიცაა სამხრეთ კავკასია და ისეთ დიდ მოთამაშეთა და სახელმწიფოთა მტკიცე და კონკურენტული სტრატეგიული ინტერესები, როგორიცაა რუსეთის ფედერაცია და თურქეთი. ბოლოდროინდელმა მოვლენებმა ცხადყო, რომ რეგიონი იქცა დიდი პოლიტიკური მოთამაშეების ინტერესების სფეროს გატარების ობიექტად. აზერბაიჯაინისა და სომხეთის ყარაბაღის მეორე ომმა უფრო დაასუსტა კავკასიის უსაფრთხოება და შედეგად რეგიონში რუსეთის ჯარი შემოიყვანა. მართალია, ომმა აჩვენა თურქეთის გავლენის ზრდა კავკასიაში, თუმცა რუსეთს რეგიონში გადამწყვეტი ძალის შანსი ჩაუგდო ხელში. მოსკოვმა შეძლო შეენარჩუნებინა კავშირი როგორც აზერბაიჯანთან ისე სომხეთთან, ხოლო თურქეთი მეორე ხარისხოვან ძალად გამოაჩინა.

რაც შეეხება ყარაბაღის მესამე ომს, რუსეთმა ორმაგი თამაშით გაწირა სომხეთი ფაშინიანის პროდასავლურობის გამო და გასაქანი მისცა აზერბაიჯანს, რომელმაც გავლენის სფეროები მოიპოვა. ამ ომში გამარჯვებული მხარე არ ჩანს, დღემდე მიდის ბრძოლა რუსეთსა და თურქეთს შორის. რომ შევაჯამოთ, ფაქტობრივად გამორიცხულია ამ კონფლიქტის სამხედრო გზით საბოლოო დასრულება, მაგრამ სომხეთის წარუმატებლობის შემთხვევაში, რაც ოპოზიციის მიერ ფაშინიანის გადაყენებით გამოიხატება, რეგიონში ცივილიზაციის საათი რამდენადმე უკან დაიხევს და გამყარდება რუსული გავლენა.

ბიბლიოგრაფია

1. მალაშხია, შ. „კონფლიქტების ანატომია“. თბილისი: გამომცემლობა „ფორმა“, 2011.
2. ტოროშელიძე, ი. *„პუტინის საგარეო პოლიტიკა“. თბილისი:* გამომცემლობა „სიდა“.

3. ყალიჩავა, კ. „რუსეთ-საქართველოს ომი 2008, ქართულ და ინგლისურენოვან ლიტერატურაში“. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2016.
4. Avakian, S. „Nagorno Karabakh legal aspects“. Fifth edition. 2015. იხ. https://efile.fara.gov/ , უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 05.05.2023.
5. Cornell, S.E., Nilsson, N. (2008) „Russia's war in Georgia: causes and implications for Georgia and the world“. Silk Road Studies Program.
6. Donaldson, R.H., Nogee, J.L. „The Foreign Policy of Russia: Changing Systems, Enduring Interests, 2014“. Routledge, 2014.
7. Gvosdev, N.K., Marsh, C. „Russian foreign policy: Interests, vectors, and sectors“. CQ Press, 2013
8. Klein M. “Russia’s Military Capabilities, Great Power Ambitions and Reality”. SWP Research paper. 2009. იხ. https://www.swp-berlin.org/, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 25.06.2023.
9. Mankoff, J. „Russian foreign policy: the return of great power politics“. Lanham, MD: Rowman & Littlefield, 2009.
10. Trenin, D. (1996) „Russia’s Security Interests and Policies in the Caucasus Region“. Contested borders in the Caucasus.
11. Tsygankov, A.P. (2016). „Russia's foreign policy: change and continuity in national identity“. Rowman & Littlefield.
12. Бочарников, И.В. „Кавказская политика России в X–XX веках“, Научно-исследовательский центр проблем национальной безопасности, Москва, 2013